

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და
ტურიზმის განვითარების სამსახურის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე

კულტურის განყოფილების მიერ ჩატარებული ღონისძიებები:

1. 2016 წლის 13 იანვარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით სოფ. დვაბზუს შალვა რადიანის სახელობის სახლ - მუზეუმში ჩატარდა „ კალანდის" დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიება მოეწყო ეთნო - გარემოში თეატრალიზებული სახით და მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, კულტურული და ტურისტული განვითარების პოტენციალის ამაღლებას და ასევე ძველი ტრადიციების გაცნობას ფართო მასებისათვის. ღონისძიების ჩატარებისთვის დაიხარჯა თანხა - 21 000 ლარის ოდენობით.

2. 2016 წლის 9 მაისს ურეკის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ურეკს " ფორმირებისათვის (აზიურები) გადაერიცხა თანხა 800 ლარის ოდენობით.

3. 2016 წლის 23 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. დვაბზუში ჩატარდა სახალხო დღესასწაული „დვაბზუობა", რისთვისაც დაიხარჯა თანხა 15 760 ლარი.

4. 2016 წლის 21 ივლისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ცხემლისხიდში, გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმში საზეიმოდ გაიხსნა „გიორგი სალუქვაძის სახელობის საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი", რისთვისაც დაიხარჯა თანხა 4 000 ლარის ოდენობით.

5. 2016 წლის 7 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომისმთაზე ჩატარდა ღონისძიება „გომისმთობა" სადაც მონაწილეობა მიიღეს პოპულარულმა მოწვეულმა შემსრულებლებმა. პროექტის მიზანი გახლდათ კურორტ გომისმთის პოპულარიზაცია. ღონისძიების ორგანიზებისათვის დაიხარჯა თანხა 17 090 ლარის ოდენობით.

6. 2016 წლის 26 აგვისტოს პროექტ „ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვის“ ფარგლებში დაბა ურეკში ჩატარდა გალა კონცერტი ქართული ესტრადის მომღერლების

მონაწილეობით. პროექტი მიზნად ისახავდა ტურისტული პოტენციალის ამღლებასა და კურორტ ურეკის პოპულარიზაციას. ღონისძიების ორგანიზებისათვის დაიხარჯა თანხა 23 543 ლარი.

7. 2016 წლის 30 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ასკანაში ჩატარდა სოფლის დღესასწაული „ასკანობა“, რისთვისაც დაიხარჯა თანხა 14 003 ლარის ოდენობით.

8. 2016 წლის 1- 2 და 3 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით ჩატარდა „შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი“ , რისთვისაც ორგანიზატორებს გადაერიცხათ თანხა 25 000 ლარის ოდენობით.

9. 2016 წლის 20 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედში ჩატარდა სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, ასევე მოწვეულმა სოლო მომღერლებმა. ასევე სოფ. შემოქმედის სკვერში მოეწყო ტურისტული კუთხეები და ფოტო გამოფენები. ღონისძიების ჩატარებისთვის დაიხარჯა თანხა 23 910 ლარი.

10. 2016 წლის 23 ოქტომბერს, კულტურის სამსახურის ორგანიზებით, სოფ. ლიხაურში გაიმართა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ ექვთიმეობა“. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმში გაიმართა სემინარი თემაზე „წმინდა ექვთიმეს ცხოვრება და მოღვაწეობა“, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეძგალი სოფლების ეთნოგრაფიული კუთხეები, ასევე რეწვის ოსტატების ნამუშევრები. აღნიშნულ ღონისძიებაზე ასევე დაჯილდოვებულ იქნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეები და საპატიო ლიხაურელები. ღონისძიება დასრულდა კონცერტით სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა ასევე მოწვეულმა პოპულარულმა ჯგუფმა და სოლო შემსრულებელმა, ღონისძიების ორგანიზებისათვის დაიხარჯა თანხა 23 400 ლარის ოდენობით.

ტურიზმის განყოფილების მიერ ჩატარებული ღონისძიებები:

11. 2016 წლის აპრილის თვეში მივიღეთ მონაწილეობა მე-18-ე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში ქ. თბილისში საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“, სადაც წარმოდგენილი იყო გურიის ტურისტული პოტენციალი, მუნიციპალიტეტში შემავალი კურორტების ამსახველი ფოტო გამოფენა, ასევე წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტში მცხოვრები რეწვის ოსტატების ნამუშევრები, ხელნაკეთი ნივთები და გურული ტრადიციული კერძები. გამოფენაში მონაწილეობის მიზანი გახლდათ ოზურგეთის ტურისტული პოტენციალის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის, რისთვისაც დაიხარჯა თანხა 3000 ლარის ოდენობით.

12. 2016 წლის ივნისის, თვეში პროექტ „ერთი ნაბიჯი ზვიდან მთამდე“-ს ფარგლებში მოეწყო შეჯიბრი კურორტ გომისმთაზე "ოფ-როუდში", სადაც მონაწილეობა მიიღეს აჭარის, ფოთისა და ქუთაისის ოფ-როუდერთა კლუბის წევრებმა და მოხალისეებმა. ღონისძიების მოწყობისათვის დაიხარჯა თანხა 2800 ლარის ოდენობით.

13. 2016 წლის ივნისის თვეში, პროექტ „გაიცანი საქართველოს " ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა მედიასაშუალებების წარმომადგენლებს (30 კაცი) , მათ სამი დღის განმავლობაში დაათვალიერეს გურიის ტურისტული ზონები და სამრეწველო ობიექტები. მოინახულეს კურორტები: გომისმთა, ურეკი, ბახმარო. სოფლები: ლიხაური, შემოქმედი, ვაკიჯვარი და დვაბზუ, გაეცნენ ადგილობრივ ფოლკლორს. ტურის ფარგლებში მასმედიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში, მოინახულეს ლიხაურის ციხე, სოფელ ვაკიჯვრის საკალმახე და გურიანთის ჩაის გადამამუშავებელი საწარმო. მეორე დღე ურეკში საკურორტო სეზონის გახსნას დაეთმო, რომლის შემდეგაც სტუმრები შემოქმედის მონასტერს ეწვივნენ და კურორტ გომისმთაზე გაემგზავრნენ. მედია-ტური ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს შალვა რადიანის სახლ-მუზეუმში დასრულდა. ღონისძიებისათვის დაიხარჯა თანხა 1400 ლარის ოდენობით.

14. 2016 წლის ივლისის თვეში დაფინანსდა და გამოიცა სამენოვანი (ქართული . რუსული . ინგლისური) სამეცნიერო ბროშურა "ურეკი უნიკალური კურორტი"

(1000 ცალი), აღნიშნული ბროშურები საჩუქრად გადაეცა ურევში არსებულ სასტუმროებს, რისთვისაც დაიხარჯა თანხა 3000 ლარი.

15. 2016 წლის ნოემბრის თვეში პროექტ „ეკომიგრანტები გურიაში, საჭიროებები და პერსპექტივები“-ს ფარგლებში ჩატარდა ფოტო კონკურსი „ჩემი მეზობელი ეკომიგრანტი“, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები: „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“ და „I (პირველი) ბლოკი“. აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებული მონაწილეები ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დააჯილდოვა 300 ლარით.

16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და ევროკავშირს შორის მიღებული თანხმობის საფუძველზე პროექტის "მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის " ფარგლებში ჩართული ვიყავით საველე კვლევებში, რომელიც ხორციელდებოდა პროექტის ფარგლებში. მივაწოდეთ საჭირო ინფორმაცია და გავუწიეთ კონსულტაცია, ამასთანავე, მონაწილეობა მივიღეთ გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის სამომავლო განვითარების გეგმის შემუშავებაში.

17. ტურიზმის განყოფილება წლის განმავლობაში მასპინძლობდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ვიზიტორებს და აცნობდა ადგილობრივ ტურისტულ პოტენციალს. ტურიზმის განყოფილების მიერ წლის განმავლობაში გამოცხადდა არაერთი პროექტი, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა ტურიზმის მიმართულებით, ინოვაციური და თანამედროვე მარშრუტების გამოვლენა და ტურისტული ობიექტების პოპულარიზაცია.

სპორტის განყოფილების მიერ ჩატარებული ღონისძიებები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სპორტული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები, დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში არსებულ საფეხბურთო გუნდებს, ჭიდაობის, ჭადრაკის, ფარიკაობის კლუბებს, ნარდის ფედერაციას. სპორტულ კლუბებს საჩუქრად გადაეცა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი და სპორტული ფორმები.

წარმატებულ მწვრთნელებს გაეზარდათ ანაზღაურება, ასევე დაჯილდოვდნენ წარმატებული სპორტსმენები.

18. 2016 წლის 24 მარტს შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიხსნა ტაეკვანდოს კლუბი ირაკლი ტულუშის ხელმძღვანელობით და გადავეცით 320 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი.

19. 2016 წლის 13 აპრილს ნარუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა სოფლის ჩემპიონატი ფეხბურთში, რისთვისაც გამოიყო თანხა 300 ლარის ოდენობით.

20. 2016 წლის 6-7 მაისს შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა ექსტრემალური სპორტი-კაიაკინგის საერთაშორისო ჩემპიონატი, სადაც 11 ქვეყნის 70-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებისათვის გამოიყო თანხა 450 ლარის ოდენობით.

21. 2016 წლის 26 მაისს სოფ. ბახვში გაიმართა ზვიად ცეცხლაძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში, მონაწილეების დასაჯილდოვებლად გამოიყო თანხა 150 ლარის ოდენობით.

22. 2016 წლის 4 ივლისს სოფ. მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ საფეხბურთო კლუბს გადავეცით 750 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი.

23. 2016 წლის 5 ივლისს ქ. სტოკჰოლმში გაიმართა პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა მუნციპალიტეტში მცხოვრები რობიზონ ესაძე, სამივლინებო თანხამ შეადგინა 3455 ლარი.

24. 2016 წლის მაისი-დეკემბრის თვეში შევიძინეთ სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი, რომელიც გადაეცა ნატანების, ბახვის, ასკანის, ნასაკირალის, მერიის, დაბა ლაითურის საფეხბურთო და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის კლუბებს, სპორტული ინვენტარის საერთო ღირებულება შეადგენდა 1985 ლარს.

25. 2016 წლის 7 აგვისტოს სოფ. ბაილეთში გაიმართა ჩემპიონატი სპორტინგში სახელწოდებით „გავარდნილები 2016“, სადაც მონაწილეობა მიიღეს

საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა ღონისძიების ორგანიზებისათვის გამოიყო თანხა 300 ლარის ოდენობით.

26. 2016 წლის 7 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომისმთაზე, „გომისმთობა 2016“ ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები: მინი-ფეხბურთი, ბაგირის გადაძალვა, აგრეთვე გაიმართა დოლი და შეჯიბრება ოფ-როუდში, ღონისძიების ორგანიზებისათვის დაიხარჯა თანხა 3700 ლარის ოდენობით.

27. 2016 წლის 20 დეკემბერს დაბა ლაითურის საფეხბურთო კლუბ „გიგანტს“ გადაეცა 800 ლარის ღირებულების საფეხბურთო ფორმები(მაისური, შორტი და გეტრები).

28. 2016 წლის 23 დეკემბერს გაიმართა გეგმიური ღონისძიება, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დავაჯილდოება. დაჯილდოვდა 11 სპორტსმენი, 6 მწვრთნელი , დავაჯილდოვებულთა გინესის რეკორდსმენი გოდერძი მახარაძე თანხით 1000 ლარი, დასაჯილდოებლად სულ გამოიყო თანხა 5000 ლარის ოდენობით.